№546 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 300 000 (სამასი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**